პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 159 (5189)

1974 წ. 13 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## აბსოლუტურ ჩემპიონობას უმიზნებს...

ვროცლავი, 11 აგვისტო. ევროპის ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ოქროს მედლები მოსკოველ ო. მოროზოვასა და თბილისელ ა. მეტრეველს ხვდათ. შერეულ წყვილთა თანრიგის ფინალურ მატჩში მათ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები მ. ნავრატილოვა და ი. ჰრებეცი — 12:10, 6:8, 6:1.

თბილისელმა ჩოგბურთელმა შემდგომში კიდევ ერთი წარმატება იზეიმა — თანაქალაქელ თ. კაკულიასთან ერთად წყვილთა თანრიგის ფინალურ შეხვედრაში აჯობა მეორე საბჭოთა დუეტს — მოსკოველებს ვ. კოროტკოვსა და ა. ვოლკოვს — 8:6, 6:4, 6:3.

მეტრეველი ერთეულთა თანრიგის ფინალშიც ითამაშებს. ნახევარფინალში მან კაკულიას სძლია. ვაჟების ერთეულთა თანრიგის მეორე ნახევარფინალურ მატჩში უნგრელმა ტაროციმ თანამემამულე მენეს აჯობა.

## რეკორდები

საერთაშორისო საავიაციო ფედერაციამ (ფაი) მსოფლიო რეკორდად დაამტკიცა ყაზანელ ავიამოდელისტ ლ. ალდოშინის შესანიშნავი მიღწევა, მისმა რადიოსამართავი პლანერის მოდელმა დახშული მარშრუტით 503 კმ იფრინა.

ამერიკელ ავიამოდელისტ მ. სმითის ძველი რეკორდი 45,2 კილომეტრითაა გაუმჯობესებული.

## ევროპის მაგიდის ჩოგბურთის რანგთა ტაბელი

ამ ტრადიციულ სიებს მაგიდის ჩოგბურთის ევროპული კავშირი ყოველწლიურად აქვეყნებს. სიები წარმოდგენას იძლევა „პატარა ჩოგბურთის" ოსტატთა სიძლიერეზე, ვინაიდან, ისინი წლის ყველა საერთაშორისო ტურნირისა და ჩემპიონატის შედეგების ანალიზის საფუძველზე დგება.

ვაჟებში ევროპის მაგიდის ჩოგბურთის ლიდერის პოსტი დათმო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, შვედმა ბენგსტონმა. მისი ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელმა სპორტსმენმა ორლოვსკიმ. ქალთა შორის დიდი ცვლილებები არ მომხდარა: მოწინავე პოზიციებს შარშანდელი ფავორიტები ინარჩუნებენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვაჟთა სიაში და ქალთა ხუთეულში შედის თითო სპორტსმენი სსრ კავშირიდან. ვაჟებში VIII ადგილი საქართველოს წარმომადგენელს, ბათუმელ სარქის სარხოიანს მიეკუთვნა, სსრ კავშირის ჩემპიონი ზ. რუდნოვა ქალთა სიაში მეორეა.

ევროპის მაგიდის ჩოგბურთის რანგთა ტაბელი ასეთია:

ვაჟები. 1. ორლოვსკი (ჩეხოსლოვაკია), 2. იოჰანსონი (შვეცია), 3. იონერი (უნგრეთი), 4. ბენგსტონი (შვეცია), 5. დიერდიელი (უნგრეთი), 6. შურბეკი, 7. სტეპანჩიჩი (ორივე — იუგოსლავია), 8. სარხოიანი (სსრ კავშირი), 9. სეკრეტენი (საფრანგეთი).

ქალები. 1. მაგოში (უნგრეთი), 2. რუდნოვა (სსრ კავშირი), 3. ალექსანდრუ (რუმინეთი), 4. ჰემერსლი (დიდი ბრიტანეთი), 5. ჰელმანი (შვეცია).

## საქდესი მოგვითხრობს



რიაზანის ოლქი. მეცხენეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის იპოდრომზე მოეწყო ცხენოსანთა ტრადიციული შეჯიბრება ლეგენდარული რიაზანელი გოლიათის ე. კოლოვრატის სახელობის თასისთვის. სარბიელზე გამოვიდნენ რიაზანის, მოსკოვის, ტამბოვისა და ივანოვის ოლქების ნაკრები გუნდები.

ს უ რ ა თ ზ ე: რიაზანელ ცხენოსანთა გუნდის კაპიტანი სპორტის ოსტატი ი. სუხარევი კოლოვრატის სახელობის თასით ხელში.

ი. დიაკონოვის ფოტო. (საქდესი).

## ფავორიტს ძალა არ ეყო

ახისი საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის მ. ამირაგოვის ხელმძღვანელობით გაემგზავრნენ ნოგინსკში იმიტომ, რომ არმიელი სპორტსმენები არიან. საერთოდ, ეს საკავშირო ჩემპიონატი სალიდერო რბოლაში შეიარაღებული ძალების ველოსიპედისტთა ნამდვილი ბენეფისი იყო. სამივე საპრიზო ადგილი სწორედ არმიელებმა გაინაწილეს და, ცხადია, გუნდური პირველობაც მათ მოიგეს.

ახალი ჩემპიონი, თბილისელი ვლადიმერ პოპოვი 28 წლისაა (მისი თანამეწყვილე — საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გიორგი ტრავკინი მოსკოვში ცხოვრობს). ერთი წლის წინათ მან საკავშირო რეკორდი გააუმჯობესა ერთსაათიან რბოლაში, მერე სერიოზული „საუბარი" წამოიწყო სახელგანთქმულ მოსკოველ არმიელთან მ. მარკოვთან და აი, საბოლოოდ დაამარცხა კიდეც იგი.

მარკოვისა და მისი ლიდერის მ. ზაიცევის ვერცხლის მედლები ველოსპორტის ზევრმა სპეციალისტმა ჩემპიონატის მთავარ სენსაციად მიიჩნია. სენსაცია მართლაც მოხდა, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის მეორე პრიზიორს მარკოვს ბოლო წლებში არც ერთი რბოლა არ წაუგია. ვერ გაიხსენებს თავის ბოლო მარცხს ვერც ზაიცევი — სალიდერო რბოლაში მოპოვებული ოქროს მედლების რიცხვით იგი ალბათ საბჭოთა ქვეყნის აბსოლუტური რეკორდსმენია.

სწორედ ასეთ მეტოქეებს გაუმართა გენერალური ბრძოლა ამ რამდენიმე დღის წინათ პოპოვმა. ბრძოლაში ყველაფერი ზუსტად იყო გაანგარიშებული. მაგრამ ფინიშამდე 10 წრით ადრე მარკოვმა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით მკვეთრად უმატა ტემპს. ამ მოულოდნელმა ტაქტიკურმა მანევრმა ორივე მოასპარეზე წონასწორობიდან გამოიყვანა: ლიდერს ჯერ პოპოვი მოსწყდა, მერე — მარკოვი. კრიტიკულ სიტუაციაში ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა გამოსავალს ნახავდნენ რბოლის რიტმიდან ამოვარდნილი ველოსიპედისტები.

გონს პირველად პოპოვი მოეგო — უფრო სწორად, მას ეყო ძალა დასწეოდა ლიდერს, მარკოვმა კი ვერაფრით ვერ დაამყარა კონტაქტი პარტნიორთან. პოპოვმა და ტრავკინმა პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორმა კი კინაღამ II ადგილიც დაკარგა. მესამე შედეგი, როგორც უკვე ვწერდით, ახვეს თბილისელებს ო. პროკოპენკოსა და ი. კავსაძეს (ლიდერი) აღმოაჩნდათ.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ახალი ჩემპიონები — ვ. პოპოვი და გ. ტრავკინი ასპარეზობისას.

რ. როსტოვცევის ფოტო.



## გაიმარჯვეს ლიტველმა მეზღვაურებმა

ლიტვის საზღვაო სანაოსნო „ინტერბალტის" ფეხბურთელთა გუნდმა დაისაკუთრა ბალტიის თასი, რომლის გათამაშებაშიც ყველა კონტინენტის 114 გუნდი მონაწილეობდა. ტურნირი მოეწყო პოლონეთის მეზღვაურთა და პორტების მუშაკთა პროფკავშირის თაოსნობით და რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მეტოქეები ერთმანეთს ხვდებოდნენ სხვადასხვა ქვეყანაში, როცა გემები ნავსადგურებში იდგნენ. ამ მატჩებში მონაწილეობდნენ მეზღვაურები, დოკერები, სანაპირო სამსახურის სხვა მუშაკები.

ამიერიდან ფეხბურთელთა ტურნირები ბალტიის თასზე ყოველწლიურად ჩატარდება.

მ. ზარტუშაა.

კლაიპედა.

## მუდამ გზაში...

ოდესა — კიშინიოვის რკინიგზის მოქიდავეთა შეჯიბრებაში საუკეთესო აღმოჩნდა ოდესის გამყოლთა რეზერვის გუნდი. ეს გამარჯვება იმითაცაა ღირსშესანიშნავი, რომ ნაკრების წევრები უმეტეს დროს „ბორბლებზე" ატარებენ. ამ მნიშვნელოვან უბანზე 2 ათასზე მეტი ადამიანი მუშაობს. მიუხედავად მუშაობის რთული პირობებისა, კოლექტივში 10 სპორტის ოსტატია, 3 ოსტატობის კანდიდატი, 19 პირველთანრიგოსანი, 100 თანრიგოსანი და 500-მდე მშდ კომპლექსის ნიშნოსანი. ამ კოლექტივის წარმომადგენლები რიკაობაში უძლიერესნი არიან ოდესაში, ხოლო ფეხბურთელთა გუნდი „პროვოდნიკი" ოლქის ექსპრესის ჩემპიონია. ამასთან, ფეხბურთელები კომუნისტური შრომის ერთ ახალგაზრდულ ბრიგადაში შედიან.

აქ წესად აქვთ მიღებული: ვინც სპორტის მეგობარია, ის კარგადაც მუშაობს.

ი. ლიანდრესი.

ოდესა.

## გამოცდას იბარებს ჩემპიონი

ევროპის ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში კესტუტის შაპკა ახალ ამპლუაში გამოვიდა. იგი მსაჯად იყო მიწვეული სიმაღლეზე მხტომელთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. ახალგაზრდა სპორტსმენებს არ სურდათ თავი შეერცხვინათ ასეთი სახელოვანი გამომცდელის წინაშე. 18 წლის რ. კაზლაუსკასმა, რომელიც, ისევე როგორც შაპკა, ლიტვის სსრ დამსახურებული მწვრთნელის ი. გადოვიჩის აღზრდილია, პირველად გადალახა ორმეტრიანი ზღვარი და რესპუბლიკის ჭაბუკთა რეკორდი დაამყარა — 205 სმ.

კაზლაუსკასი მერვე მხტომელია ლიტვაში, რომელმაც ეს დიდოსტატური სიმაღლე დაძლია.

ს. ვაინტრაუბასი.

ვილნიუსი.

## ფიზკულტურელის საკავშირო დღეს...

როგორც ცნობილია, 10 აგვისტოს საბჭოთა ქვეყანამ ზეიმით აღნიშნა ფიზკულტურელის საკავშირო დღე. მოსკოვში, ლენინგრადში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, დიდ სამრეწველო ცენტრებსა თუ დაბებში, ყველგან — თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველ კუთხეში გაიმართა მასობრივი კროსები და ესტაფეტები, შეჯიბრებები და სპარტაკიადები, ცნობილ სპორტსმენთა საჩვენებელი გამოსვლები.

ეს დღე განსაკუთრებით სასიხარულო იყო კიდევ იმიტომ, რომ მოსკოვში, თბილისში, სხვა ქალაქებში გაიმართა საქალაქო თუ რესპუბლიკური ჩემპიონატები მშდ-ს მრავალჭიდში.

ცხადია, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ჩემპიონატებს წინ უძღოდა მასობრივი შეჯიბრებები საწარმო-დაწესებულებებში, ინსტიტუტებში, საშუალო სკოლებში. მაგალითად, მოსკოვის ერთ-ერთ ყველაზე „სპორტულ" უმაღლეს სასწავლებელში — ბაუმანის სახელობის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში მარტო შედუღების კათედრაზე 85 კაცმა უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. „ოქროს ნიშნოსნები" გახდნენ სასწავლებლის რექტორი გ. ნიკოლაევი (იგი კათედრის გამგეცაა), პროფესორები, მეცნიერებათა დოქტორები ვ. ვოლჩენკო, ო. სტეკლოვი, ვ. ლოშჩილოვი, ვ. საგალევიჩი, ვ. ვინოკუროვი.

# სურვილები, ოცნებანი, გეგმები...

## ლაპარაკობენ

10 აგვისტოს ფიზკულტურელის საკავშირო დღე იყო. დღესასწაული ჰქონდათ ახალბედებს, ვინც პირველ ნაბიჯებს ახლა დგამს დიდ სპორტში, ზეიმობდნენ ისინიც, ვინც კვირაში რამდენიმეჯერ დადის სტადიონზე ჯანმრთელობის ჯგუფებში სამეცადინოდ, რათა 50, 60, 70 წლის ასაკშიც შეინარჩუნოს სპორტული ფორმა, ისინი, ვინც ღირსეულად ატარებს საბჭოთა სპორტის დროშას საერთაშორისო სარბიელზე. დასასრულ, ზეიმობდა მილიონობით გულშემატკივარი, უბრალო სპორტის მოყვარული.

საკდესის სპორტული რედაქციის თანამშრომლებმა სახელოვან საბჭოთა სპორტსმენებს ამ დღესასწაულთან დაკავშირებით სთხოვეს თავიანთი შეხედულებები გაეზიარებინათ მკითხველებისთვის, ელაპარაკათ სამერმისო გეგმების შესახებ.

მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში ირინა როდნინამ ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა 8 აგვისტოს, როცა საწვრთნელი ვარჯიშის შემდეგ გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ნახევარსაუკუნოვანი იუბილეს აღსანიშნავ საღამოზე მივიდა და ტრიბუნიდან ილაპარაკა.

მსოფლიოში უძლიერეს ძალოსანს ვასილ ალექსეევს შეხვდნენ შვეციაში, სადაც ეს ცნობილი სპორტსმენი „ბალტიის თასის" გათამაშებაზე ჩავიდა.

ოლიმპიური ჩემპიონები — ასპირანტი ვალერი ბორზოვი და სტუდენტი ოლგა კორბუტი თავიანთს მშობლიურ ქალაქებში — კიევსა და გროდნოში იყვნენ. ახლა, საზაფხულო არდადეგების პერიოდში, ისინი გულმოდგინედ ემზადებიან სეზონის მომავალი დიდი შეჯიბრებებისთვის, ვალერი — ევროპის მძლეოსანთა ჩემპიონატისთვის, რომელიც იტალიაში ტარდება, ოლგა — ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც ბულგარეთში აიღებს სტარტს.

ლენინგრადელმა კალათბურთელმა ალექსანდრე ბელოვმა მისალმება გამოგზავნა ესტონეთიდან, სადაც იგი ამ დღეებში ჩავიდა სსრ კავშირის ნაკრებთან ერთად.

ვლადისლავ ტრეტიაკი, ჰოკეისტთა წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე, საკდესის კორესპონდენტს ესაუბრა პარასკევს მოსკოვში ცსკა-ს და დედაქალაქის დინამოელთა ამხანაგური მატჩის დამთავრებისთანავე.

## ჩემპიონები და რეკორდსმენები

**ვალერი ბორზოვი (კიევი), ოლიმპიური ჩემპიონი 100 და 200 მეტრზე რბენაში.**

ყოველი ჩვენგანი, ვისაც კი ჰხვდომია ბედნიერება, საბჭოთა სპორტის ღირსება საერთაშორისო სარბიელზე დაეცვა, უდიდესი სიამაყის გრძნობით მიიჩნევს თავს საბჭოთა ფიზკულტურელთა მრავალმილიონიანი, მსოფლიოში ყველაზე მასობრივი არმიის წევრად. საბჭოთა კავშირის ათლეტთა მაღალი ავტორიტეტი საზღვარგარეთ არსებითად ჩვენი სპორტული მოძრაობის უდიდესი წარმატებების აღიარებაა, რასაც საფუძვლად უდევს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუღალავი, მართლაც მამობრივი ზრუნვა საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობისთვის.

ძნელია, ძალიან ძნელია დღეს გზის გაკაფვა ოლიმპიური, მსოფლიო, ევროპის საპატიო კვარცხლბეკებისკენ. მხოლოდ ენერგიის, ნებისყოფისა და აზრის შერწყმას მიჰყავართ გამარჯვებამდე. სწორედ სპორტისადმი ასეთ დამოკიდებულებას ვუსურვებდი ამ დღესასწაულზე ჩემს კოლეგებს — სპორტსმენებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს.

ჩვენ, ოლიმპიელებს, განსაკუთრებით ბევრი მოგვეთხოვება. ამ თვალსაზრისით ევროპის მომავალი ჩემპიონატი ჩემთვის ძნელი გამოცდა იქნება. XX ოლიმპიადის შემდეგ ხშირად მოჰკრავდით ყურს, ბორზოვის მზე ჩაესვენაო. ეს „მზის ჩასვენება", უფრო ზუსტად კი მეცნიერულად დასაბუთებული დასვენება გამოსვლებს შორის მე და ჩემმა ხელმძღვანელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა პეტროვსკიმ წინასწარ დავგეგმეთ. რომის ჩემპიონატამდე კი თავდაუზოგავად ვიმუშავებ, რათა კვლავ ვასახელო სამშობლო.

**ირინა როდნინა (მოსკოვი), ექვსგზის მსოფლიო ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში.**

ფიზკულტურელის საკავშირო დღე, — რაოდენ საზეიმოდ ჟღერს ეს სიტყვები, რამდენ რამეს ეუბნება სპორტის მოყვარულებს. სულითა და გულით ვულოცავ დღესასწაულს ყველას, ვინც ცურავს და ყვინთავს, ფეხბურთს თამაშობს თუ ციგურებით სრიალებს. ერთი სიტყვით, ზეიმს ვულოცავ ყველას, ვინც ჩვენი შესანიშნავი მეგობრის, სპორტის ერთგულია.

ახალი სეზონი როგორღაც შეუმჩნევლად, ძალიან სწრაფად „მოგვეპარა" ჩვენც, ფიგურისტებსაც. შეიძლება იმიტომ, რომ შარშანდელი წელი ესოდენ რთული იყო, ესოდენ დატვირთული დიდი შეჯიბრებებით და ასე გვიან დამთავრდა — მაისშიც კი საჩვენებელი პროგრამით გამოვდიოდით ამერიკის ქალაქ სპოკანში, საერთაშორისო გამოფენაზე „ექსპო-74". შეიძლება ასე იმიტომაც მეჩვენება, რომ წლეულს მე და ალექსანდრე ზაიცევმა ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრეთ.

აგერ უკვე ერთი კვირაა კვლავ „ვეჩვევით" საციგურაოს სარკისებურ ზედაპირს. თანდათან „მივსრიალებთ" სეზონისკენ, რომელიც ერთგვარი დაზვერვა იქნება 1976 წლის ოლიმპიადის წინ. ჩვენ გვექნება სრულიად ახალი პროგრამა, რომელიც ინსბრუკის ასპარეზობისთვის საბოლოოდ უნდა დაიხვეწოს.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ახლა ისეა შეცვლილი, როგორც არასდროს. ბევრი ოსტატი ბალეტში გადავიდა ან სულაც გამოეთხოვა ფიგურულ ციგურაობას. ისინი ახალგაზრდა, ჩემი აზრით, დიდად საიმედო ფიგურისტებმა შეცვალეს. ჩვენი ზეიმის დღეს მე მინდა ვუსურვო მათ მაღალი ჯილდოები, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა, რომ ჯილდოს მხოლოდ ის დაიმსახურებს, ვინც ბეჯითად იმეცადინებს, გულმოდგინედ იმუშავებს თავისი ოსტატობის დასახვეწად.

**ოლგა კორბუტი (გროდნო), ოლიმპიური ჩემპიონი ტანვარჯიშში.**

სულ რამდენიმე დღეა დავბრუნდი გომელიდან, სადაც ბელორუსიის VI საზაფხულო სპარტაკიადის შეჯიბრებაში ვმონაწილეობდი. იქ პირველი ადგილი დავიკავე. მინდა ეს წარმატება კარგი ნიშანი იყოს მომავალი შეჯიბრებისთვის. აგვისტოს დამლევს ვილნიუსში ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება და ქვეყნის ჩემპიონატი მრავალჭიდის ცალკეულ სახეობებში, ხოლო ვარნაში, როგორც იცით, მსოფლიო პირველობა გაიმართება.

სსრ კავშირის ნაკრების წევრობაზე ახლა ბევრი ბრწყინვალე ტანმოვარჯიშე აცხადებს პრეტენზიას. ესენი არიან: ტურიშჩევა, კიმი, გროზდოვა, დრონოვა, სიხარულიძე, გორბიკი და სხვები. იმედი მაქვს, ჩემს მეგობრებთან ერთად წარმატებით დავიცავ საბჭოთა ქვეყნის ღირსებას მსოფლიო ჩემპიონატში. ხოლო ფიზკულტურელის დღე ჩემთვის იქნება არა მარტო დღესასწაული, არამედ დაძაბული ვარჯიშის დღეც, ვინაიდან შეუპოვარი შრომის გარეშე მსოფლიო სპორტში მწვერვალებს ვერავინ დაიპყრობს.

მინდა ვუსურვო ჩემს მეგობარ ტანმოვარჯიშეებს დიდი წარმატებები სწავლაში, შრომაში, სპორტულ შეჯიბრებებში.

**ვასილ ალექსეევი (შახტი), მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი ძალოსნობაში.**

შვეციის ქალაქ ვეკშედან, სადაც თავი მოიყარეს ევროპის ბევრი სხვადასხვა ქვეყნის, კერძოდ, გდრ-ის, ბულგარეთის, ნორვეგიის, ფინეთის, გფრ-ის, შვეციის საუკეთესო ძალოსნებმა, მინდა ჩვენი გუნდის სახელით გულწრფელად მივულოცო დღესასწაული საბჭოთა სპორტსმენებს, საბჭოთა კავშირის მთელს სპორტულ საზოგადოებრიობას.

პირადად ჩემთვის წლევანდელი სპორტული სეზონი იღბლიანი იყო. მოვიგე საბჭოთა კავშირის პირველობა ორი მსოფლიო რეკორდით. ასევე ორი რეკორდი დავამყარე ევროპის ჩემპიონატში. ვფიქრობ, რომ წლის ბოლომდე მეც და სხვა ძალოსნებიც კიდევ დავიპყრობთ სპორტულ მწვერვალებს. გუნდის ყველა წევრი გულმოდგინედ ვარჯიშობს. ხანდახან მათი გაფრთხილებაც კი ხდება საჭირო, რომ არ გადაიღალონ, — წინაა მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ფილიპინებში ტარდება.

**ვლადისლავ ტრეტიაკი (მოსკოვი), ოთხგზის მსოფლიო ჩემპიონი ჰოკეიში.**

ჰოკეისტებს ახლა პატარა ანტრაქტი გვაქვს. ფიზკულტურელის დღეს ყინულზე გამოვალთ ჩვენს სპორტის სასახლეში, სადაც მორიგი საწვრთნელი მეცადინეობა გვექნება. განვლილი სეზონი ჩემთვის სასიხარულოც იყო — საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში მსოფლიო ჩემპიონი გავხდი და მსოფლიო პირველობის საუკეთესო მეკარის სახელიც მხვდა — და გულდასაწყვეტიც — ჩემმა არმიელთა გუნდმა ქვეყნის ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში წარმატება ვერ მოიპოვა.

ამჟამად ახალი უფროსი მწვრთნელის ლოკტევის, მისი თანაშემწეების ალექსანდროვისა და ფირსოვის ხელმძღვანელობით არმიელები მომავალი სეზონისთვის ვემზადებით და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ ქვეყნის უძლიერესი გუნდის სახელი დავიბრუნოთ.

მე ბევრი საპასუხისმგებლო მატჩი მელის სსრ კავშირის ნაკრებშიც. უკვე სექტემბერში იწყება „იზვესტიის თასი", სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარდება მატჩები კანადის გუნდთან. მე და ჩემი ამხანაგები თავს არ დავზოგავთ, რათა საბჭოთა ნაკრებმა გულშემატკივრები მომავალ სეზონშიც გაახაროს დიდი გამარჯვებებით.

ფიზკულტურელის დღეს მინდა განსაკუთრებით დიდი წარმატება ვუსურვო ჩვენს ნორჩ ჰოკეისტებს, რომლებიც პირველ ნაბიჯებს დგამენ მასობრივ შეჯიბრებებში „ოქროს შაიბის" პრიზზე. ერთ დროს ამ შეჯიბრებებში მეც ვმონაწილეობდი.

**ალექსანდრე ბელოვი (ლენინგრადი), ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, მსოფლიო ჩემპიონი კალათბურთში.**

წლევანდელი სეზონი ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. ამ სეზონში პუერტო-რიკოში საბჭოთა კალათბურთელებმა მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა და დაამტკიცეს, რომ ჩვენი გამარჯვება მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებში შემთხვევითი არ იყო. ჩემი წარმატება — ეს ჩემი თანაგუნდელების, მთელი საბჭოთა სპორტის წარმატებაა.

ვამაყობ იმით, რომ საშუალება მქონდა მეთამაშა პაულაუსკასთან, სერგეი ბელოვთან, სალნიკოვთან, ბოლოშევთან, მილოსერდოვთან, ედეშკოსთან და სხვა დიდ ოსტატებთან ერთად. მე ვიცი, რომ მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვება მომავლისთვის დიდი ავანსია. მონრეალის ოლიმპიადამდე დარჩენილ ორ წელიწადში კიდევ უფრო უნდა დავხვეწოთ ოსტატობა, გამოცდილება გავიმდიდროთ, იმას ხომ რაღა აჯობებს, კანადაში საასპარეზოდ მიმავლებმა ევროპის ჩემპიონობაც რომ დავიბრუნოთ.

გაგარინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის შემდეგ რამდენიმე მატჩი გვექნება კოლუმბიაში. ეს იქნება ტურნირები „ექსპო-74"-ის პრიზზე დიდი შეჯიბრების წინ, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩატარდება. ამერიკიდან მშობლიურ ლენინგრადში დავბრუნდები და ქვეყნის ჩემპიონატის დაწყებამდე სახელმძღვანელოებს ჩავუჯდები. მე გემშენებლობის ინსტიტუტში ვსწავლობ, მესამე კურსზე. 22 წლისა ვარ და ცხოვრებაში კიდევ ბევრი მწვერვალის დაპყრობაზე ვოცნებობ.

# ზურგის ქარი ვუსურვოთ „მედეას"

**სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა შესანიშნავი ლაშქრობა**



თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამედიცინო ინსტიტუტის III კურსის სტუდენტებმა თავიანთს ძველებურ, აფრიან ხომალდს სახელად „მედეა" უწოდეს.

„მედეას" აგება (ხომალდი თითქმის ორ ტონანახევარს იწონის) ამ რამდენიმე დღის წინათ დამთავრდა, კვირას კი, 18 საათზე, მან უკვე სტარტი აიღო მეტეხის ხიდის მახლობლად, მტკვრის სანაპიროდან.

„მედეას" ეკიპაჟში შედიან ა. ბიბიჩიძე (კაპიტანი), ე. კობახიძე (კაპიტნის თანაშემწე), პ. თადუმიძე (ბანაკის უფროსი), გ. ფარადაშვილი (კომისარი), ა. ქარსელიშვილი (მესაჭე), ი. გოგიაშვილი, მ. ობოლაძე, თ. ჩიქოვანი (მენიჩბეები), თ. მურუსიძე (ისტორიკოსი), გ. ბერიძე (ფოტორეპორტიორი) და გ. ყურული (კინოოპერატორი).

ენთუზიასტებს საინტერესო მოგზაურობა ელით. მარშრუტი ექსპედიციისა, რომელსაც რ. ბაბუნაშვილი ხელმძღვანელობს, თბილისიდან ბაქომდე გადის. გზადაგზა ტურისტები დაათვალიერებენ ამიერკავკასიის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების ადგილებს. ცხადია, ისინი ეწვევიან თავიანთს კოლეგებს — ბაქოს სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტებსაც.

ზურგის ქარი ვუსურვოთ „მედეას"!

**ა. ჭუმბურიძე.**

* * *

სურათებზე: „მედეა"; ასეთი იყო სტარტი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



### ზნაური

სოფელ ავნევში ჩატარდა ადგილობრივი „კოლმეურნის" ყოფილი ფეხბურთელის ა. ყაზახაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი თასის გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ზნაურის, ავნევის, თერეგვნის, ცხინვალის რაიონის, ზემო ნიქოზის, დვანის, ძლევისჯვრის, კეხიჯვრისა და ცხინვალის გუნდებმა. თასის პირველი მფლობელები გახდნენ ავნეველი ფეხბურთელები, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი მოუგეს ცხინვალის ავტობუსების შემკეთებელი ქარხნის გუნდს — 3:2.

**ვ. მელქოევი.**

### გორი

თვეზე მეტ ხანს გაგრძელდა გორის რაიონის თასის გათამაშება ფეხბურთში 24 გუნდის მონაწილეობით. ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ტინისხიდის საკოლმეურნეობათშორისო მეძროხეობის სანაშენე მეურნეობისა და გორის სასათბურე კომბინატის გუნდებმა. საინტერესო ბრძოლა მოიგეს ტინისხიდელებმა — 5:2.

**ი. თევდორაშვილი.**




სსრ კავშირის პირველობა

უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

დუბლიორთა შემადგენლობანი

მდგომარეობა 13 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (მ.) | 17 | 10 | 5 | 2 | 32—14 | 25 |
| „დინ.“ (კ.) | 17 | 10 | 5 | 2 | 23—10 | 25 |
| „ზენიტი“ | 17 | 9 | 4 | 4 | 33—21 | 22 |
| „ქაირათი“ | 17 | 8 | 5 | 4 | 19—17 | 21 |
| „ჩერნომ.“ | 17 | 8 | 4 | 5 | 38—27 | 20 |
| „სპარტაკი“ | 17 | 9 | 2 | 6 | 21—17 | 20 |
| „შახტიორი“ | 17 | 8 | 3 | 6 | 25—14 | 19 |
| „ტორპედო“ | 17 | 5 | 8 | 4 | 20—14 | 18 |
| „ფახთაქ.“ | 17 | 6 | 6 | 5 | 25—27 | 18 |
| „არარატი“ | 17 | 3 | 9 | 5 | 19—23 | 15 |
| „ნისტრუ“ | 17 | 6 | 3 | 8 | 32—37 | 15 |
| „დინამო“ (თბილისი) | 17 | 5 | 5 | 7 | 17—25 | 15 |
| ცსკა | 17 | 4 | 5 | 8 | 20—24 | 13 |
| „კარპატი“ | 17 | 3 | 4 | 10 | 11—27 | 10 |
| „დნეპრი“ | 17 | 1 | 7 | 9 | 10—27 | 9 |
| „ზარია“ | 17 | 1 | 5 | 11 | 10—33 | 7 |

• •

I ლიგა

9 აგვისტოს გამართული მატჩები ასე დამთავრდა: „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:0, „კუზბასი“ (კემეროვო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 1:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „კუბანი“ (კრასნოდარი) 1:3, „ზვეზდა“ (პერმი) — ასკ (დონის როსტოვი) 2:1, „დინამო“ (მინსკი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 1:1, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 0:0, „ტავრია“ (სიმფეროპოლი) — „პამირი“ (დუშანბე) 3:0, „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:1.

ქუთაისის ტორპედოელებმა ზაპოროჟიეში წააგეს ადგილობრივ „მეტალურგთან“ — 0:1.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფთჩი“ | 23 | 12 | 6 | 5 | 31—16 | 30 |
| „კრ. სოვ.“ | 23 | 11 | 6 | 6 | 34—21 | 28 |
| ასკ (როსტოვი) | 23 | 11 | 6 | 6 | 33—22 | 28 |
| „ლოკომ.“ | 22 | 11 | 5 | 6 | 36—21 | 27 |
| „კუზბასი“ | 22 | 12 | 3 | 7 | 29—25 | 27 |
| „ტავრია“ | 22 | 11 | 3 | 8 | 39—26 | 25 |
| „დინამო“ | 22 | 9 | 6 | 7 | 28—25 | 24 |
| „ზვეზდა“ | 23 | 8 | 7 | 8 | 30—32 | 23 |
| „ურალმაში“ | 23 | 8 | 7 | 8 | 25—28 | 23 |
| „ტორპედო“ | 23 | 8 | 7 | 8 | 19—23 | 23 |
| „მინსკი“ | 21 | 7 | 8 | 6 | 25—24 | 22 |
| „სპარტაკი“ (ი.-ფ.) | 23 | 5 | 12 | 6 | 21—21 | 22 |
| „სპარ.“ (ნ.) | 23 | 6 | 9 | 8 | 21—25 | 21 |
| „მეტ.“ (ზ.) | 21 | 7 | 6 | 8 | 23—27 | 20 |
| „სპარტაკი“ (ო.) | 23 | 8 | 4 | 11 | 27—39 | 20 |
| „მეტ.“ (ლ.) | 22 | 6 | 7 | 9 | 20—25 | 19 |
| „სტროიტ.“ | 23 | 6 | 7 | 10 | 23—32 | 19 |
| „პამირი“ | 20 | 5 | 8 | 7 | 22—22 | 18 |
| „კუბანი“ | 23 | 5 | 7 | 11 | 29—42 | 17 |
| „ტექსტილ.“ | 21 | 2 | 6 | 13 | 18—37 | 10 |

# სიტყვა ეკუთვნის ფეხბურთის თემიდას

ფეხბურთს საყვედური არ ეთქმის პრესის მხრივ უყურადღებობის გამო. ფეხბურთის შესახებ ხალისით, ბევრს წერენ. მაგრამ სამატჩო ანგარიშებში, ყოველკვირეულ მიმოხილვებსა და კომენტარებში ძალიან ცოტა ადგილი ეთმობა იმ ხალხს, ვისაც დავალებული აქვს ფეხბურთელთა ბატალიების მართვა, — მსაჯებს.

ერთხელ თემიდის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ნაღვლიანად თქვა: „მსაჯმა უამრავი შეცდომა უნდა დაუშვას მატჩის დროს, რათა როგორმე ყურადღება მიიპყროს. თუ მსაჯის შესახებ რაიმეს დაწერენ, უმეტესად სწორედ ასეთი შეცდომების გამო. ხოლო ჩვენი მუშაობის სირთულეებზე, იმაზე, რაც ხელს უშლის თამაშის ნორმალურ მსვლელობას და რაც შეიძლება გაკეთდეს ამ სიძნელეთა თავიდან ასაცილებლად, ლაპარაკი ძალიან იშვიათია“.

ახლახან საკდესის კორესპონდენტს მსაჯობის პრობლემებზე ესაუბრა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, მსაჯთა საკავშირო კოლეგიის თავმჯდომარე ვ. ლიპატოვი.

● ამჟამად ჩვენში ქვეყნის ჩემპიონატი მიმდინარეობს. მსაჯობა საერთოდ მაღალ დონეზე დგას, მაგრამ ამ სასიამოვნო ფონზე ცალკეული არბიტრების მუშაობა ზოგჯერ მაინც იქცევა ხოლმე სამართლიანი კრიტიკის საგნად...

— როგორც ჩანს, თქვენ მხედველობაში გაქვთ ერევანში მომხდარი შემთხვევა, როცა კიშინიოველმა პონომარიოვმა მოსკოვის დინამოელთა მიერ გატანილი გოლი არ ჩათვალა.

პირველ ყოვლისა უნდა მოგახსენოთ, რომ ეს გადაწყვეტილება არ მოწმობს რაიმე არაობიექტურობას. ეს გახლდათ ჩვეულებრივი შეცდომა. მთავარი არბიტრი, რომელმაც კარგად ვერ დაინახა ეს ეპიზოდი, დამნაშავეა იმაში, რომ ენდო თავის თანაშემწეს ულანოვს, თუმცა ვალდებული იყო მხოლოდ საკუთარი შეხედულებით ეხელმძღვანელა.

პონომარიოვს დროებით ჩამოერთვა უმაღლესი ლიგის გუნდების მატჩებში მსაჯობის უფლება.

● მაინც რაში მდგომარეობს მსაჯთა შეცდომების ბუნება?

— ეს გახლავთ პოზიციის არასწორი შერჩევა, რთულ სიტუაციებში სწრაფად ორიენტირების უნარის უქონლობა, უკმარი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადება. ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც შეცდომებს იწვევს ფეხბურთელთა თამაშშიც.

ყველაფერთან ერთად, არბიტრი უნდა გამოირჩეოდეს ხასიათის სიმტკიცით, პრინციპულობით, ნებისყოფით. ამ თვისებებიდან თუნდაც ერთის უქონლობა უკვე მსაჯის შეცდომებს იწვევს. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მატჩის წარმატებით ჩატარება არ მოხერხდება, თუ თვითონ მოთამაშენი არ იქნებიან მსაჯის ერთგული დამხმარენი.

● ამ თვალსაზრისით თქვენ რომელ გუნდს გამოყოფდით?

— დნეპროპეტროვსკის „დნეპრს“. მე ბევრჯერ მიმსაჯია ამ გუნდის მონაწილეობით გამართულ მატჩებში და მუდამ მხოლოდ მხარდაჭერა მიგრძვნია ფეხბურთელთა მხრიდან. ეს მხოლოდ ჩემი პირადი შეხედულება არ გახლავთ, ჩემი კოლეგებიც ამავე აზრისა არიან. მინდორზე მტკიცე დისციპლინის დაცვაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის „დნეპრის“ კაპიტანს შნეიდერმანს.

● „რთული“ გუნდების შესახებ რას იტყოდით?

— ძნელია მსაჯობა ალმა-ათასა და დონეცკში. როგორც წესი, „ქაირათისა“ და „შახტიორის“ ფეხბურთელები გამუდმებით დაობენ მსაჯის გადაწყვეტილებათა გამო, რასაკვირველია, თუ ეს გადაწყვეტილებები მათს წისქვილზე არ ასხამს წყალს. ეს ყოველივე ზედმეტად ანერვიულებს მსაჯთა ბრიგადას, მაყურებლებს, ხელს უშლის თავად ფეხბურთელებს. ხშირად მთელი მატჩი ფეხბურთელთა შორის „ურთიერთობათა გარკვევას“ ემსგავსება.

აქ უკვე ზედმეტია ლაპარაკი ფეხბურთის სილამაზეზე. იძულებული ვართ გამოვიყენოთ ყვითელი ბარათი, ზოგჯერ კი უკიდურეს ზომებსაც მივმართავთ.

● თქვენი აზრით, რა იწვევს მსგავს შემთხვევებს?

— დაბალი კულტურა და ოსტატობის უკმარობა. ბევრი რამაა დამოკიდებული გუნდში აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზეც. აქ განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებს კოლექტივის ხელმძღვანელობა. მაგრამ, რაოდენ პარადოქსულადაც უნდა მოგეჩვენოთ, ხშირად თვითონ მწვრთნელები იძლევიან უდისციპლინობის მაგალითს.

ახლახან მსაჯთა საკავშირო კოლეგიაში შემოვიდა „ნისტრუ“ — „ქაირათის“ მატჩის გვერდითი მსაჯის, კიეველი ვიხროვის რაპორტი. ვიხროვმა გვაცნობა, რომ ალმაათელთა უფროსი მწვრთნელი ა. ფალიანი მთელი მატჩის მანძილზე რეპლიკებს ისროდა მსაჯების მისამართით, შეხვედრის შემდეგ კი მათს ოთახში შევარდა და ისევ შეურაცხყოფა მიაყენა არბიტრებს. ეს მაშინ, როცა „ქაირათის“ ორმა სხვა მწვრთნელმა მსაჯთა ბრიგადის მუშაობა „ფრიადზე“ შეაფასა. საიდან ექნებათ ალმაათელებს მტკიცე დისციპლინა, როცა ხელმძღვანელი ასეთ „მაგალითს“ უჩვენებს ფეხბურთელებს?

● ამ ცოტა ხნის წინათ მე საშუალება მქონდა დავსწრებოდი ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის სხდომას, რომელიც მინდვრიდან გაძევებული მოთამაშის საკითხზე მსჯელობდა. დამნაშავემ სცადა თავი გაემართლებინა, ნერვები ვერ დავიმორჩილეო. რას გვეტყვით ამის შესახებ?

— ფეხბურთელი, რომელსაც თავის დამორჩილება არ შეუძლია, საერთოდ არ უნდა გამოდიოდეს მინდორზე. აბა წარმოიდგინეთ მატჩი, სადაც ყველა მონაწილე, მსაჯების ჩათვლით, სრულ გასაქანს აძლევს თავის ემოციებს. განა ეს ნამდვილი ფეხბურთი იქნება? გარდა ამისა, რატომაა, რომ ზოგს შეუძლია თავის დამორჩილება, ზოგს არა? ხომ ახერხებენ თავის შეკავებას ნებისმიერ სიტუაციაში ხურცილავა, პაპაევი, შნეიდერმანი...

● ერთხელ ფეხბურთის ერთ-ერთმა სტატისტიკოსმა შენიშნა, რომ თერთმეტმეტრიანი დარტყმები მინდვრის მასპინძელთა სასარგებლოდ უფრო ხშირად ინიშნება. მოწმობს თუ არა ეს მსაჯების რაღაც განსაკუთრებულ „კეთილგანწყობილებას“ მასპინძელთა მიმართ?

— არავითარ შემთხვევაში. ეს ფაქტი ძალიან მარტივი ასახსნელია: როგორც წესი, მინდვრის მასპინძლები უფრო მეტად უტევენ, მეტოქეები კი ძირითადად დაცვას ამჯობინებენ. ბუნებრივია, მსგავს სიტუაციაში სტუმრები უფრო ხშირად არღვევენ წესს.

● სხვათა შორის, ამასწინანდელ მსოფლიო ჩემპიონატში არბიტრები არ ერიდებოდნენ ამ მკაცრ ზომას.

— და, ჩემი აზრით, სწორადაც იქცეოდნენ. ყოველ შემთხვევაში, ეს მყისვე აფხიზლებდა ფეხბურთელებს.

● რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე მსაჯთა მუშაობამ განვლილ მსოფლიო ჩემპიონატში?

— ძალიან მომეწონა მოთამაშეების, მწვრთნელების, მაყურებლების კეთილგონივრული დამოკიდებულება მსაჯთა გადაწყვეტილებების მიმართ. ასეთ ვითარებაში მსაჯობა ძნელი არ არის.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ინგლისელი ტეილორის, გლიოკნერის (გდრ), შვეიცარიელი ჩორერის დამაჯერებელი მსაჯობა. როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატზე მიწვეული იყო საბჭოთა არბიტრი კაზაკოვიც, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა მსაჯების ავტორიტეტს საერთაშორისო სარბიელზე.

● ხომ ვერ დაგვისახელებდით ახალგაზრდა, პერსპექტიულ მსაჯებს?

— ვიხროვი (კიევი), ბუტენკო (მოსკოვი), კუსენი (ლვოვი), ბრაევი (ჩერნოვცი), იუშკა (ვილნიუსი). წარსულში ყველა მათგანი ოსტატთა გუნდებში თამაშობდა. ამ ბოლო ხანს არბიტრთა „არმიას“ ბევრი ყოფილი ფეხბურთელი ემატება. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს სარბიელზე ახალი, ნიჭიერი მსაჯების გამოჩენას. მაგრამ მაღალი კლასის არბიტრის სახელის მოსაპოვებლად მათ ჯერ კიდევ დიდი პრაქტიკა დასჭირდებათ.

● კიდევ რა მიგაჩნიათ საჭიროდ მსაჯობის დონის ამაღლებისთვის?

— დასასრულ, აუცილებელია ფეხბურთელებისთვის კანონად ვაქციოთ თამაშის წესების ჩაბარება. ამ ორი წლის წინათ ასეთი წესი არსებობდა, მაგრამ ეს კარგი თაოსნობა თანდათან დაივიწყებას მიეცა. ჩვენ გვაქვს ტექნიკური და ფიზიკური მომზადების ნორმატივები. აუცილებელია ასეთივე ნორმატივები შემოვიღოთ ფეხბურთის წესებში.

ქვეყნის ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ დარჩა მატჩები. თითოეული ეს შეხვედრა შემოწმებაა არა მარტო ფეხბურთელთა ოსტატობისა, არამედ მსაჯთა მომზადებისაც. მინდა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ფეხბურთელები და მსაჯები მოკავშირეები უნდა იყვნენ. ამით უთუოდ მოიგებს ჩვენი ფეხბურთი, მოიგებს მაყურებელი.



# კალათბურთის მერიდიანებზე

როგორც ცნობილია, 23 აგვისტოს იტალიაში დაიწყება ევროპის მორიგი ჩემპიონატი ქალთა შორის. ამ ასპარეზობისთვის გულმოდგინედ ემზადებიან სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული გუნდები. მოეწყო რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი, საკონტროლო შეხვედრა... ბევრი მწვრთნელისთვის უკვე ცნობილია გუნდის შემადგენლობა.

ემზადებიან ჩემპიონატისთვის საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრები კოლექტივებიც. სწორედ ამ სამზადისის ერთ-ერთი ბოლო ეტაპია ოთხი სპარინგ-შეხვედრა, რომლებიც ჩატარდება აღნიშნულ გუნდებს შორის მოსკოვში. ორივე გუნდის მწვრთნელებმა განაცხადეს, რომ ეს მატჩები საბოლოოდ გაარკვევს გუნდების შემადგენლობას.

შედგა პირველი მატჩი. სსრ კავშირის ნაკრებმა დიდი ანგარიშით დაამარცხა მეტოქე — 99:57 (49:29).

• • •

სსრ კავშირის ქალაქებში ტურნე დაამთავრა ამერიკის შეერთებული შტატების იუნიორთა ნაკრებმა. ბოლო შეხვედრა სტუმრებს მოსკოვში ჰქონდათ ადგილობრივ თანატოლებთან. გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 82:75 (38:39).

მატჩში, რომელიც 11 აგვისტოს ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში ჩატარდა, მძაფრი ბრძოლა გაჩაღდა. საკმარისია ითქვას, რომ ამერიკელები მთელი შეხვედრის მანძილზე წინ იყვნენ. ძირითადი შტურმი მასპინძლებმა წამოიწყეს საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე, როცა მათი მეტოქე წინ იყო 9 ქულით (62:53). მაგრამ მონდომებამ და თავგანწირვამ თითქმის სასწაული მოახდინა: სსრ კავშირის იუნიორთა ნაკრებმა იხსნა ეს უნუგეშო ბრძოლა...

ამ შეხვედრაში ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი იყო მოსკოველი ა. ხარჩენკოვი, რომელმაც თავის კოლექტივს 21 ქულა შესძინა.

სულ ამერიკელმა კალათბურთელებმა 6 მატჩი ჩაატარეს სტუმრად. მათ 3 შეხვედრა მოიგეს, 3 წააგეს. ამერიკელთა მწვრთნელს გ. ევანსს ძალიან მოეწონა საბჭოთა იუნიორების თამაში. მან აღნიშნა, რომ ამხანაგურმა შეხვედრებმა ორივე გუნდს სარგებლობა მოუტანა.

◆ მანილა, 12 აგვისტო. მოჭადრაკე ჭაბუკთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის მთავარი ფინალის I ტურში ლენინგრადელმა კოჩიევმა 26-ე სვლაზე სძლია ხენაოს (კოლუმბია). ამერიკელმა უინსტონმა მოუგო ბრაზილიელ სუნიე-ნეტოს. დანარჩენი სამი პარტია გადაიდო. ტურნირი წრიული სისტემით ტარდება.

◆ სტოკჰოლმი, 12 აგვისტო. საბჭოთა მოტოკროსმენმა გ. მოისეევმა მოიგო „250-ანების“ კლასში მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი და კვლავ ლიდერობს — 145 ქულა. უმაღლესი წოდების მფლობელი 25 აგვისტოს გამოვლინდება შვეიცარიაში.

... 19 45

◆ პრატონი დელ ვივარო, 12 აგვისტო. რომის მახლობლად მდებარე ამ დაბაში გათამაშდა ევროპის იუნიორთა ჩემპიონატი საცხენოსნო სამჭიდში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა გფრ-ის ნაკრებმა, ხოლო პირადში — ტ. ესტევემ (საფრანგეთი). სსრ კავშირის ნაკრებმა III ადგილი დაიკავა. საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო ა. ჟიბაიტისი (V ადგილი). გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე გავიდნენ ირლანდიელები.



მოსკოვი. რეგბისტთა საერთაშორისო ტურნირი „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის“ პრიზზე. „ნადის“ (სპლიტი) და „სკრის“ (ვარშავა) შეხვედრა ანგარიშით 18:7 მოიგეს იუგოსლაველმა სპორტსმენებმა.

• • •

სურათზე: თამაშის მომენტი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

# ასპარეზობენ ჭაბუკი მეხანძრეები

რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე გაიმართა ჭაბუკთა VI რესპუბლიკური პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებითს სპორტში.

80-მეტრიანი დაბრკოლებათა ზოლის გადალახვაში (საშუალო ასაკის ჭაბუკთათვის) გაიმარჯვა ზ. ჭკვეტაძემ (ფოთი) — 17,0. II ადგილზეა ტ. ქურასბედიანი (ქუთაისი) — 17,3, III — ა. დურგიანი (აჭარა) — 17,4.

უფროსი ასაკის ჭაბუკები დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში ასპარეზობდნენ. აქ ყველაზე სწრაფი გამოდგა ფოთის წარმომადგენელი ზ. ღლონტი — 19,6 წამი.

პირველ დღეს ჩატარდა, აგრეთვე, შეჯიბრება სახანძრო ესტაფეტაში 5×80 მეტრზე. გაიმარჯვა აფხაზეთის ნაკრებმა.

მეორე დღეს ჭაბუკები საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მე-2 და მე-3 სართულებზე ასვლაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

საშუალო ასაკის ჭაბუკთა შორის I ადგილი დაიკავა რუსთავის წარმომადგენელმა გ. ოსკანოვმა — 8,7. უფროსი ასაკის ჯგუფში გაიმარჯვა თბილისელმა ს. კოშინკამ — 13,8.

საბრძოლო გაშლაში თელავისა და ზუგდიდის ნაკრებმა გუნდებმა შესაბამისად I და II ადგილები დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს თბილისის სპორტსმენებმა. II ადგილზეა ფოთის ნაკრები, III — აჭარის კოლექტივი. ბევრმა მოსწავლემ პირველი თანრიგის შედეგები აჩვენა.

ვ. ეიტინგანი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი,

ძ. მამისაშვილი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.



17-30 აგვისტოს ჰავანაში მოკრივეთა მსოფლიო პირველობა ეწყობა. ჩემპიონატის წინ საბჭოთა ნაკრებმა საწვრთნელი შეკრება ჩაატარა სოხუმის მახლობლად, „ეშერის“ სპორტულ ბაზაში.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და ნიგერიის მოკრივეები ჭადრაკის დაფასთან.

ი. ჭოხონელიძისა და გ. კიკვაძის ფოტო (საქინ).

## ახალი ამბები-74

● **მოსკოვი, 11 აგვისტო.** სსრ კავშირში საპასუხო ვიზიტით ჩამოვიდა იაპონიის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები, რომელმაც გუშინ „სოკოლნიკის“ სპორტის სასახლის სარბიელზე ანგარიშით 3:1 (15:3, 15:4, 11:15, 15:8) სძლია მოსკოვის ნაკრებს. სტუმრები კიდევ ამ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ საბჭოთა ფრენბურთელებთან.

● **დნეპროპეტროვსკი, 12 აგვისტო.** დნეპრის თვალწარმტაც ყურეში სტარტი აიღო სსრ კავშირის ჩემპიონატმა წყალსათხილამურო სპორტში. მოასპარეზეებს იდეალური პირობები აქვთ: საუცხოო ტრასები, დიდებული ამინდი, წყნარი წყალი... ცხადია, ყოველივე ამას კარგი ნაყოფი უნდა გამოეღო. მართლაც, შეჯიბრების პირველსავე საათში ოთხმა სპორტსმენმა — მოსკოველებმა ე. მატიუხინამ, ნ. დემინამ, ტ. რიჟკოვამ და სოჭელმა მ. მუგაევამ სლალომში საკავშირო მიღწევებს გადააჭარბეს.

● **მანილა, 12 აგვისტო.** ფილიპინების დედაქალაქში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი. შესარჩევი შეჯიბრების 7 ტური (შვეიცარიული სისტემით) წარმატებით განვლო ლენინგრადელმა სტუდენტმა ა. კოჩიევმა, რომელმაც 4.5 ქულა დააგროვა და მთავარი ფინალის საგზური მოიპოვა. მთავარ ეტაპზე, რომელიც დღეს აიღებს სტარტს, კიდევ 9 მოჭადრაკე გამოვა. ესენი არიან: ს. მარიანოვიჩი (იუგოსლავია), პ. უინსტონი (აშშ), რ. დიქსი (ჰოლანდია), რ. ხენაო (კოლუმბია), პ. მაკი (გფრ), ჟ. სუნიე-ნეტო (ბრაზილია) — 4,5-4,5 ქულა, ჯ. მაილსი (ინგლისი), ლ. შნაიდერი (შვეცია) და ს. გიარდელი (არგენტინა) — 5-5 ქულა. დანარჩენი მონაწილეები (სულ 27 კაცი ჩაება ბრძოლაში) XI და მომდევნო ადგილებისთვის იბრძოლებენ.

● **მოსკოვი, 12 აგვისტო.** ჩოგბურთში მოსკოვის ტრადიციული საერთაშორისო, რიგით მე-16 შეჯიბრება გუშინ უვარსკვლავებოდ დაიწყო, მათი სახელები კი სატურნირო ცხრილში ჩაწერილია. ჩემპიონები, მათ შორის პირველი საბჭოთა ჩოგნები — მოსკოველი ო. მოროზოვა და თბილისელი ა. მეტრეველი, საპატიო მიზეზით იგვიანებენ: ვროცლავში თამაშობენ ევროპის ჩემპიონატში. მიუხედავად ამისა, ტრიბუნები, თუმცა ჰაპანაქება სიცხე იყო, მაყურებლებით აივსო. ტურნირმა ბულგარეთის, გდრ-ის, უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის, აშშ-ს, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს მოუყარა თავი. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ცენტრალურ კორტზე გამართულმა ორმა ბრძოლამ. ერთ შეხვედრაში მინსკელმა სვეტლანა კორზუნმა სძლია რუმინელ მარიანა სიმონესკუს (6:1, 3:6, 6:3), მეორეში კი დევისის თასის გათამაშების მონაწილემ, რუმინეთის ნაკრების წევრმა დუმიტრუ ხარედაუმ დაამარცხა 16 წლის ლვოველი მოსწავლე სერგეი გრუზმანი — 6:1, 6:3. შეჯიბრება 18 აგვისტოს დამთავრდება.

## მსოფლიოს პირველი ჩემპიონი — „კაისა“

სულ ახლახან სტოკჰოლმში, სადაც მიმდინარეობდა ინფორმაციის დამუშავების საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი საჭადრაკო კომპიუტერებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 13 პროგრამა: 4 — ამერიკის შეერთებული შტატებიდან, 3 — ინგლისიდან, თითო — სსრ კავშირიდან, უნგრეთიდან, კანადიდან, ნორვეგიიდან, ავსტრიიდან და შვეიცარიიდან.

როგორ „თამაშობს“ ჭადრაკს ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა? საერთოდ, კომპიუტერები გამოთვლებს აწარმოებენ სხვადასხვა კონკრეტული ამოცანის მიხედვით ადამიანის მიერ შედგენილი პროგრამების მეშვეობით. იმისთვის, რომ მანქანამ ჭადრაკის თამაში ისწავლოს, მას აწვდიან მათემატიკურ ენაზე გადატანილ სხვადასხვა საჭადრაკო ინფორმაციას: თამაშის წესებს, ფიგურების შედარებითს ღირებულებას, სხვადასხვა პოზიციურ კრიტერიუმს და სხვ. სვლის გაკეთების წინ მანქანა გათვლის მრავალ ვარიანტს და ირჩევს თავისი გაგებით საუკეთესო გაგრძელებას.

ამრიგად, რამდენადაც კარგადაა შედგენილი პროგრამა, ანუ რამდენადაც კარგადაა გათვალისწინებული პროგრამაში ჭადრაკის ურიცხვი კანონზომიერებანი, მით უფრო ძლიერად თამაშობს მანქანა. ცხადია, ყველა კანონზომიერების გათვალისწინება, უბრალოდ, შეუძლებელია და სწორედ ამიტომაა, რომ, მაგალითად, თანამედროვე კომპიუტერი ჭადრაკს თამაშობს დაახლოებით II თანრიგის მოჭადრაკის ძალით. ზოგჯერ მანქანას ძალიან უხეში შეცდომა მოსდის (ესე იგი, პროგრამაში გაუთვალისწინებელია რაღაც), ზოგჯერ კი იგი თვით პროგრამის შემქმნელს აოცებს — მეტად ლამაზ და ძლიერ სვლას ამოირჩევს.

ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა ჩემპიონატის I ტური, რომელშიც საბჭოთა პროგრამა „კაისა“ ხვდებოდა ავსტრიელთა „ფრანცს“. პარტიის მსვლელობაში ორივე „მეტოქემ“ რამდენიმე შეცდომა დაუშვა და 30 სვლის შემდეგ შეიქმნა ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაზე ასახული პოზიცია:



ახლა სვლა თეთრებით მოთამაშე „კაისამ“ უნდა გააკეთოს. შეძლებს თუ არა იგი პოზიციური უპირატესობის გამოყენებას? „კაისა“ არ ჩქარობს, ვარიანტებს თვლის და აი, ცნობილი ხდება გაგრძელება: 31. ლc6! შავები უიმედო მდგომარეობაში არიან, პარტია ასე გრძელდება: 31. ... ლჟ6 32. ლ:c7+, მფa8 33. ეd7 ლf5 34. ლc6 ×.

მეორე ტურიდან „კაისას“ ელოდა „ამერიკული ზღუდე“. „ტიჩ II“-სთან საბჭოთა მანქანამ უკვე მე-19 სვლაზე ხელთ იგდო ინიციატივა, შემდეგ ორიგინალურად მოიგო ფიგურა და მალე პარტიაც გამარჯვებით დააგვირგვინა.

III ტურში საბჭოთა კომპიუტერმა გვემაზომიერად უკუაგდო პროგრამა „ქაოსის“ ზედმეტად აზარტული (თუ შეიძლება ასე ეწოდოს მანქანის თამაშს) იერიში, თავადვე დაიწყო აქტიური მოქმედება და 28-ე სვლაზე დაამამათა „მეტოქე“.

ბოლოს, IV ტურის წინ „კაისა“ ერთპიროვნულად ლიდერობდა. იგი ქულით უსწრებდა ამერიკულ კომპიუტერებს „ოსტრიჩს“, „ჩეს 4.0“-ს, „ტიჩ II“-სა და „ქაოსს“, კანადის „რიბიტსა“ და ინგლისურ „მასტერს“. ჩემპიონობის მოსაპოვებლად საბჭოთა პროგრამას ყაიმიც ჰყოფნიდა, მაგრამ „კაისამ“ ტრადიციას არ უღალატა და ამერიკულ „ოსტრიჩთან“ ექვსსაათიანი უშეღავათო ბრძოლის შემდეგ ქულა ჩაიწერა აქტივში.

ამრიგად — 4 ქულა ოთხიდან!

უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის მონაწილე რამდენიმე საჭადრაკო პროგრამისთვის გამოყენებული იყო ისეთი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანები, რომელთა სწრაფქმედება ბევრად სჭარბობდა „კაისას“ მიერ გამოყენებული კომპიუტერისას (მანქანები მოჭადრაკეებივით შემოფარგლული იყვნენ რეგლამენტით). ეს გარემოება თითქოს გამარჯვების საწინდრად უნდა ქცეულიყო, მაგრამ „კაისამ“ თავის სწრაფად „მოაზროვნე“ მეტოქეებს“ აჯობა უფრო მოქნილი პროგრამის მეშვეობით. გამარჯვებაში ყველაზე მეტი დამსახურება მიუძღვით „კაისას“ შემქმნელებს — მართვის პრობლემების ინსტიტუტის თანამშრომლებს, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატებს გ. არლაზაროვს, ზ. ადელსონ-ველსკის, მ. დონსკოის, ა. უსკოვს, აგრეთვე, ა. ბალაევსა და ა. ბიტმანს.

ც. ფიცხელაური.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### იასალდეს აზრით

ცნობილმა არგენტინელმა თავდამსხმელმა პ. იასალდემ, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის რამდენიმე მატჩში მონაწილეობდა, ერთმანეთს შეადარა ევროპელ და სამხრეთამერიკელ ფეხბურთელთა თამაში, რის შემდეგაც უპირატესობა მიანიჭა... სამხრეთამერიკელებს.

იასალდეს სიტყვით, ევროპელები, თუნდაც მათი საუკეთესო წარმომადგენლები, მაინც „საფეხბურთო მანქანებს“ ჰგვანან, სამხრეთამერიკელები კი თამაშში მთელ „სულსა და გულს აქსოვენ“.

### გილსი „ლიდსის“ მწვრთნელად დაინიშნა

მას შემდეგ, რაც ინგლისის ჩემპიონი „ლიდს იუნაიტედის“ მწვრთნელი დ. რივი ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელი გახდა, კლუბის დირექტორატს ახალი მენეჯერის ძებნა მოუხდა.

როგორც ლიდსში გამოქვეყნებულ ცნობაშია ნათქვამი, „ლიდს იუნაიტედს“ ამიერიდან უხელმძღვანელებს ცნობილი სპეციალისტი ჯ. გილსი, რომელიც ამავე დროს ირლანდიის ნაკრების მწვრთნელიცაა.

### საჭიროა მეტი ვარჯიში

„ბენფიკის“ მწვრთნელად დანიშნულმა ცნობილმა იუგოსლაველმა სპეციალისტმა მ. პავიჩმა განაცხადა, რომ ამ კლუბის ფეხბურთელებმა გაცილებით მეტი უნდა ივარჯიშონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ დაიბრუნებენ პორტუგალიის ჩემპიონის წოდებას.

### ტასი გადააყენეს

პორტ-ო-პრენსში (ჰაიტი) გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია, რომ ჰაიტის ფეხბურთის ფედერაცია არღვევს კონტრაქტს ეროვნული ნაკრების მწვრთნელ ა. ტასისთან.

ტასი 12 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ჰაიტის ნაკრებს, ახლა კი ფიქრობენ, რომ მან კარგად ვერ მოამზადა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

## მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში



**პრაღა.** ჩეხოსლოვაკიელი სპორტსმენები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობის ოსტატთა მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში, წვრთნის ორიგინალურ მეთოდებს იყენებენ. ვინაიდან შეჯიბრება ჩატარდება მაღალმთიანეთის პირობებში — მეხიკოში, სოჩი-მილკოს არხზე (2300 მ ზღვის დონიდან), ნიჩბოსნები კვირაში ორჯერ ვარჯიშობენ დაბალი წნევის კამერაში. გამოყენებულია წვრთნის სხვა ახლებური მეთოდები.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: ტ. შახი ბაროკამერაში ვარჯიშობს ექიმ ო. მალის მეთვალყურეობით.

ჩტკ—საქინის ფოტო.

## მორიგი ტირაჟი

**მოსკოვი, 10 აგვისტო.** დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 22-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სპორტის სახეობები:

„სპორტლოტო“. 10 (საზღვაო სპორტი), 18 (რიკაობა), 33 (რაგბი), 37 (სროლა), 42 (ძალოსნობა), 43 (ფარიკაობა).

„სპორტლოტო-2“. 3 (აკრობატიკა), 5 (ბადმინტონი), 18 (რიკაობა), 21 (ცხენოსნობა), 26 (მოტობურთი), 29 (საპარაშუტო სპორტი).

რედაქტორი მ. ბაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 14 აგვისტო. საქართველოს თასი. ნახევარფინალი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „კახეთი“ (თელავი). დასაწყისი 16 ს.

**თავისუფალი ჭიდაობა.** კიროვის სახელობის პარკის სარბიელი. 16 აგვისტო. საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა: „განთიადი“ (საქართველო) — პროფკავშირების ნაკრები (იაპონია). დასაწყისი 19 ს.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 04708